მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის არსენ ახვერდიანის ხოჯორნის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების მოსახლეობასთან შეხვედრის

ოქმი N1

ქ. მარნეული **,,–09–„09–.2019 წელი**

შეხვედრას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - არსენ ახვერდიანი,მამუკა ნავერიანი, ბესიკ გელენიძე, გივი გიორგაძე, რომან ტაბატაძე, ბესიკ გუჯეჯიანი.

სხდომას ესწრებოდა - ხოჯორნის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების: ხოჯორნის, მოსახლეობა, ასევე მარნეულის მაჟორიტარის პარლამენტის წევრის თამაზ ნავერიანის ბიუროს უფროსი აგილ ამირჯანოვი,მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან, მედიასთან, არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობის და გენდერული საკითხების განყოფილების სპეციალისტები არჩილ მდივნიშვილი, ხოშგადამ ნოვრუზალოვა და მარიანა გვრიტიშვილი .

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის,ხოჯორნის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის არსენ ახვერდიანის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

მოისმინეს: დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრმა, ხოჯორნის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარმა დეპუტატმა არსენ ახვერდინის ხოჯორნის ადმინისტრაციულ ერთეულში შემავალი სოფლების (ხოჯორნი,წოფი,გიულბახი,ბრდაზორი)მოსახლეობას წარუდგინა 2019 წლის ანგარიში. საკრებულოს წევრი შეეხო ხოჯორნის ადმინისტრაციულ ერთეულში 2019 წელს განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს. აღინიშნა, რომ მიმდინარე წელს სოფელ ხოჯორნში განხორციელდა მინი სტადიონის მოწყობა, ასევე შემოიღობა სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორია, ასევე განხორციელდა შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები.სოფელ ბრდაზორში შემოიღობა სასაფლაო.სოფელ გიულბაღში მოეწყო გარე განათება და ასევე შემოიღობა სასაფლაო.სოფელ წოფში გარე განათების მოწყობა განხორციელდა.

აზრი გამოთქვეს: მოსახლეობამ ისაუბრა იმ პრობლემებზე, რომელიც აწუხებს სოფელი ხოჯორნის მოსახლეობას .ჩამოთვლილი პრობლემებიდან ყველაზე აქტუალურია სოფელში მისასვლელი გზის გაკეთება, საბავშვო ბაღის არ ქონა, გარე განათების მოწყობა, შიდა გზების რეაბილიტაცია,სასმელი წყლის მილების რეაბილიტაცია,ნაგვის ურნები,სპორტული ინვენტარი.

სოფელი გიულბახის მოსახლეობის პრობლემების ჩამონათვალია: სასმელი წყლის არ ქონა, ნაგვის ურნების,გარე განათება,საზოგადოებრივი ტრანსპორტის არ ქონა,შიდა გზების მოპირკეთება.

სოფელი წოფის მოსახლეობამ გააჟღერა სოფლის საჭიროებები: სასმელი წყალი,სოფელში მისასვლელი გზა ,კულტურის სახლის მშენებლობა

სოფელი ბრდაზორის მოსახლეობამ პრობლემატურ საკითხად დააყენა საზოგადოებრივი ტრანსპორტის არ ქონა, გზის მოხრეშვა ,სარიტუალო დარბაზის მშენებლობა, გარე განათების მოწყობა.

გადაწყვიტეს: მოსახლეობამ დადებითად შეაფასა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის, ხოჯორნის ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატის არსენ ახვერდიანის გაწეული მუშაობის ანგარიში.